საქართველო, სანოტარო აქტი, ორიათას ოცდასამი წლის პირველ დეკემბერს მე, ირმა ბერიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7, კორპუსი №4-6, მომმართა ალექსანდრე შენგელიამ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ალექსანდრე შენგელიამ (დაბ. 21.07.2005წ. თბილისში პირადი № 01005024606 მისამართი თბილისი ევგენი მიქელაძის ქ. 18, ბინა 16) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ალექსანდრე შენგელია, რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი“, დიმიტრი შენგელიას (პირადი №01006002764), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი“, ვანიჭებ უფლებამოსილებას მართოს და განკარგოს, გააასხვისოს/გაყიდოს ნებისმიერ მესამე პირზე, გააქირავოს/გასცეს იჯარით (შემდგომში ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულებებში ნებისმიერი ცვლილების შეტანის და გაუქმების უფლებით), დატვირთოს სერვიტუტით, დააზღვიოს ჩემს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება. ასევე, უფლებამოსილია აწარმოოს ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაში მშენებლობასთან, საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებასთან, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან, დაკანონებასთან, რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა. ასევე უფლებამოსილია შეიძინოს/იყიდოს ჩემი სახელით ნებისმიერი უძრავი ქონება და დაარეგისტრიროს ჩემს სახელზე, ჩემს საკუთრებაში შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში. ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი და წარმოადგინოს ჩემი ინტერესები ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, საკრებულო, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და მათ ნებისმიერ სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მათ შორის მოახდინოს ცვლილების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში, დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება და ა.შ), სანოტარო ბიუროში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ორგანოებში, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში, ნებისმიერი კომუნალური მომსახურების სამსახურებში, მათ შორის სს “თელმიკო”, “თბილისი ენერჯი”-ში, “სოკარი”-ში, დასუფთავების სამსახურში, შპს “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში”. უფლებამოსილია დადოს ჩემი სახელით ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შესაბამისი გარიგებები/ხელშეკრულებები, განსაზღვროს ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა, მიიღოს ნასყიდობის ან/და ქირავნობის თანხა ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით. უფლებამოსილია აწარმოოს ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაში ნებისმიერი საქმიანობა წყლის, დენის, გაზის, კანალიზაციის შეყვანასთან და აბონენტად რეგისტრაციასთან/გამრიცხველიანობასთან, საჭიროების შემთხვევაში მრიცხველის შეცვლასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებით. უფლებამოსილია წარადგინოს და შეათანხმოს სამშენებლო პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტში, მიიღოს ნებართვა, შეასრულოს აზომვითი ნახაზები, განაცხადოს შესაბამისი თანხმობები. უფლებამოსილია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული და სხვა სახის სახელმწიფო ბაჟები და მოსაკრებლები, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ამასთან დაკავშირებით წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ინფორმაცია, განცხადება, ცნობა, ამონაწერი, ასევე შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან. **მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის პირველ დეკემბრამდე.**

ეს მინდობილობა შედგენილია 4 /ოთხი/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ირმა ბერიძის სანოტარო არქივში, ხოლო 3 /სამი/ გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია საზღაური: 18.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 5.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31.7-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

ალექსანდრე შენგელია

ალექსანდრე შენგელია

ნოტარიუსი ირმა ბერიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

84586343822223

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N23657243



რეგისტრაციის თარიღი

01.12.2023 წ

ნოტარიუსი: ირმა ბერიძე

მისამართი: თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6

ტელეფონი: 2905754

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18